საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციური პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 73
ოთხშაბათი, ნოემბრის 16
1921 წ.

კოოპერატივ „მეურნე"-ს
მომხმარებელთა საყურადღებოთ
მიღებულია დიდძალი საქონელი და ურიგდება მომხმარებლებს ხელმისაწვდომ ფასებში.

ბრინჯი, პურის ფქვილი, სქელი რძე, თხილი, კართოფილი,—საპონი ხელის საპონი და სარეცხის, ამერიკული კალოშები, ჩაი სხვა და სხვა ფირმების საღებავები, ფეხსაცმლის საცხი, მამაკაცის და ქალის წინდები, ამერიკული საზოგადოებიდან მიღებული პალტოები ქალის და კაცის, ღვინოები ნაფარეული, და სხვა ფირმების პარტვეინი, მადერა, ხერესი და სხვა ტკბილი ღვინოები.

75 გამგეობა.

ღრმად დამწუხრებულნი: შამშე თოფურიძე, შვილები: ჯოლოლი, გუგუშა, ოლია და თამარა ქმრებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის მეუღლის, უკანასკნელთა ძვირფასი დედის

აღათი დგებუაძის ასულის

თოფურიძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ნოემბრის 16-ს ქ. ზუგდიდში. 76

ღრმად დამწუხარებულნი: მამა დავითი ნიკოლოზის ძე, დედა მარიამი სარდიონის ასული, დები: ელენე, ნინო, თამარი და ძმა ვალიკო ციციშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროოდ დაღუპვას ფრენის დროს ნოემბრის 13-ს სამხედრო მფრინავის

სოსო ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 17-ს 12 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე). 79

საქართველოს საჰაერო ფლოტის უფროსი, თანამშრომელნი და წითელარმიელნი აუწყებენ ტრაგიკულად დაღუპვას ფრენის დროს ნოემბრის 13 ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის სამხედრო მფრინავის

სოსო ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 17-ს 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე). 80

საქართველოს საჰაერო ფლოტის ესკადრილიის უფროსი. თანამშრომელნი და წითელ არმიელნი აუწყებენ ტრაგიკულად დაღუპვას, ფრენის დროს ნოემბრის 13-ს ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის სამხედრო მფრინავის

სოსო ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 17-ს 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე). 81

ფედერაცია

რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ (კავბიურომ) ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ გამოიტანა რეზოლიუცია. ამ პოლიტიკურ აქტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის. მართალია, კავბიურო არ არის პირდაპირი ხელისუფლება, რომ მისი აქტი პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი იყოს, მაგრამ კავბიურო არის ხელისუფლების პარტიული ორგანო. ესე იგი მისი დადგენილებანი შესაძლებელია ცხოვრებაში გატარდეს.

ამიტომ კავბიუროს დადგენილებამ ჩვენს საზოგადოებაში გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა. ყოველი სხვა საკითხი დაჩრდილა ამ ამბავმა, ყველა მხოლოდ ფედერაციაზე ლაპარაკობს და ათასგვარად ახასიათებენ მას.

ბევრისათვის სრულიად საკმაო იყო გაეგონათ „კავბიურო", ან მისი „ფედერაცია", რომ ცხადი გამხდარიყო თავისი დამოკიდებულება ხსენებულ მოვლენასთან.

ბოლშევიკების ყოველს ნაბიჯს ზოგი მუდამ უნდობლობით ხვდება, ზოგი ეჭვებით არის შეპყრობილი, კიდევ ბევრი მეტად პესიმისტურ გუნებაზეა დამდგარი.

ფედერაცია მეტად დიდი მოვლენაა, რომ მისდამი დამოკიდებულება ერთი ხელის დაკვრით ან მივიღოთ, ან უარვყოთ. ძალიან დიდი მოფიქრებაა საჭირო, ბევრი მოვლენის მოგონება, აწონდაწონვა, გათვალისწინება, შეგნებული ნაბიჯის გადადგმა.

ყველა ამ მოსაზრებით ჩვენმა ორგანომ სამი დღით დააგვიანა ამ დიდ საკითხზე თავისი დასაბუთებული მოსაზრების გამოქვეყნება.

საკითხის საბოლოოდ და ყოველმხრივ წარმოსადგენად შესდგა რამდენიმე კრება მთავარი კომიტეტის, დარგების და სტუდენტობის წარმომადგენელთა. ჩვენი პარტიის დამოკიდებულება ფედერაციისადმი შემდეგია.

ფედერაცია აუცილებელი პოლიტიკური ორგანიზაცია ჩვენი ცხოვრებისათვის. ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ ხაზგასმით აღიარა, რომ რევოლიუციის პროცესში და რევოლიუციის შემდეგ, ფედერაცია არის მიზანი, რომელსაც პარტია უნდა ემსახუროს. ამგვარად ფედერაცია არა თუ უცხო მოძღვრებაა ჩვენთვის, რომელსაც ანგარიშს გაუწევთ ხოლმე, როგორც ცხოვრებაში შექმნილ არსებულ ფაქტს, არამედ იგია პრინციპიალი ღირებულება, მიზნებრივი აზრი ჩვენი შემოქმედებისა. ამიტომ ჩვენთვის ადვილი არ არის ფედერაციის იდეა უარვყოთ მაშინ, როცა რომელიმე ძალა აპირებს ცხოვრებაში მის განაღდებას.

ჩვენ არ წარმოვადგენთ საზოგადოებაში ისეთ ძალას, რომელიც მუდამ ბევრ რამეს იდებს თეორიაში, ხოლო პრაქტიკულად საქმის გაკეთებისას წინ წამოაყენებს იმ იარაღს, რომელსაც „მაგრამი" ჰქვიან. ჩვენ უფრო მეტად ფედერალისტები ვართ პრაქტიკულად, ვიდრე თეორიულად. მიუხედავად ამისა დღეს ჩვენ წინააღმდეგი ვართ კავბიუროს მიერ გამოცხადებულ ფედერაციის.

რას წარმოადგენს ჩვენი მოსაზრებანი?

კავბიურო ასახელებს კავკასიის ფედერაციის სხვა და სხვა მოტივებით. ყველა მოტივი ორ დებულებაში იხატება: 1. ადმინისტრაციის გაადვილება-გაიაფება, 2. ამიერ-კავკასიის ეკონომიური ორგანიზაციის ერთიანობა, სიმრთელე.

ორივე ეს მოტივი ელემენტარულ კრიტიკასაც ვერ უძლებს და ეტყობა კავბიუროს წევრები ძალიან აჩქარებულან საკითხის გადაწყვეტის დროს და ვერ წარმოუდგენიათ მდგომარეობის ყველა მხარე.

ფედერაცია პოლიტიკურ საკითხია. პოლიტიკურ საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციის ხარჯებს ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ იგი ყურადღება ლეიტ-მოტივად შეუძლებელია გადაიქცეს, კავბიურო კი ამ წვრილმანს და ვერმიშელს კისრებს გენერალურ მოვალეობას!

საზოგადოდ უნდა ითქვას: დემოკრატიის ინსტიტუტები მეტად ძვირია. სოციალისტური და კომუნისტური ადმინისტრაცია, ამ სიტყვის ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, გაცილებით ძვირია ვიდრე დემოკრატიულ რესპუბლიკის, მაგრამ ამიტომ კომუნისტურ აპარატის უარყოფა უაზრობაა, საბჭოთა სისტემა—რუსეთში მეტად რთული მოვლენაა, მასთან დაკავშირებული მოქმედება მრავალ მასობრივ ორგანიზაციათა აკისრებს ქვეყანას უამრავ ხარჯებს, მაგრამ ამ ხარჯებისა გამო საბჭოთა სისტემას ვერავინ უარყოფს. ყველაზე იაფი წყობილება—ერთ მთავრობის რეჟიმია, მაგრამ ერთ მთავრობის რეჟიმს ვერავინ დაიცავს.

არა მარტო ფინანსიური თვალსაზრისი, სიადვილის ნაირეც არ შეიძლება გადაიქცეს ლეიტ-მოტივად. ავსტრო-ჰუნგრეთში სახელმწიფოებრივ ენათა სისტემა, ან შვეიცარიული ენათა სისტემა ქმნის მთელ რიგ უხერხულობას, მაგრამ არ ვიცით არც ერთი დემოკრატი, არც ერთი სოციალისტი, რომელიც უარყოფდეს არა თუ არსებულ ენათა სისტემას, პირიქით, არ ამტკიცებდეს მას და არ მოითხოვდეს მის კიდევ მეტად გამაგრებას, გაფართოვებას. სიადვილის და სიიაფის ლოგიური მსვლელობა მიგვიყვანს იმპერიალიზმამდე, ზოოლოგიურ ნაციონალიზმამდე, ესე იგი იმ სისტემამდე, რომელთანაც ბრძოლა თანამედროვე რევოლიუციის უწმინდესი მიზანია. ამგვარად, ეს მოტივიც სრულიად მიუღებელია.

უმთავრესი მომენტი — ეკონომიური მომენტია. ამიერ-კავკასია არის ერთი მთლიანი ორგანიზაცია—ამტკიცებს კავბიურო. ეს არგუმენტი ვერავის ეტყვის რაიმე სერიოზულს. რა აკავშირებს მაგალითად საქართველოს სომხეთთან?—თითქმის არაფერი. მართალია, სომხეთს და აზერბეიჯანს უსაქართველოდ ცხოვრება არ შეუძლიათ, მაგრამ მაშინ საკითხი უნდა დაისვას არა ერთ ეკონომიურ ორგანიზაციის შესახებ, არამედ ადგილობრივ სახელმწიფოების პირდაპირ ეკონომიურ ინტერესებზე. კავბიურო, რომელშიაც შედის ყველა რესპუბლიკის ძალები, ჩვენ გვესმის რისთვის ჩქარობა გაერთიანების ტენდენციას—ეს საჭირო და სასარგებლოა აზერბეიჯან-სომხეთისათვის და ეს უტილიტარისტული მომენტი შეიძლება პირდაპირ ინსტინქტიურად, გარნა შეიძლება შეგნებულადაც, თავზე ახვევდეს ადგილობრივ ძალებს კავბიუროს აზრებს, რაიცა არსებითად არის აზრი ჩვენი მეზობელი რესპუბლიკების.

ჩვენ ვიცით, კავკასიაში საქართველოს უჭირავს ისეთი ბუნებითი მდგომარეობა, რომელიც მისთვის ყოველთვის გახდის ფედერაციას ნაკლებად სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა ჩვენ უეჭველად ანგარიში უნდა გაუწიოთ მეზობელ რესპუბლიკებს და მივიღოთ ნაკლებად სასარგებლო ფედერაცია. მაგრამ დღეს არსებითად არც აზერბეიჯანი, არც სომხეთი არავითარ ფაქტიურ დაბრკოლებას არ განიცდიან იმიტომ, რომ საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელს საბჭოთა რესპუბლიკას.

განა დღეს ჩინური კედლებია აგებული მეზობელ რესპუბლიკებში? განა ფედერაცია რითიმე ნიშნავს ყოველივე საზღვრის წაშლას, რომ ეს კედელი—საზღვარი გვაშინებდეს?

განა დღეს კი გვყავს საკუთარი ელჩები ყველგან, ყველა სახელმწიფოებში, რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებოდეს ქვეყანას და რომელთა წარმომადგენლობას გაუგებრობა და წინააღმდეგობა შექონდეს ერთს მთლიანს პოლიტიკაში?

განა არის სხვა და სხვა შინაარსის და მიზანის საბჭოები და რევკომები ჩვენში, რომელნიც სხვა და სხვაგვარად ეხებოდნენ რუსეთის საკითხს?

განა ყველა საბჭოთა რესპუბლიკათა ორიენტაცია არ არის ორიენტაცია რუსეთის რევოლიუციისა?

არ არსებობს ამ ჟამად არც ერთი სერიოზული მოსაზრება საფედერაციო ნაბიჯების გადასადგმელად.

ნუ თუ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ფედერაციას?—აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, ამ აქტს დიდი პოლიტიკური ღირებულება აქვს და სწორედ ეს პოლიტიკური მოსაზრება გვაძლევს ჩვენ უარვყოთ კავბიუროს დადგენილება.

კავბიუროს დადგენილება, რომ წავიკითხეთ ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ქონდა. რამდენი აჩქარება, რამდენი სიმსუბუქე, რამდენი წინდაუხედაობაა ამ დადგენილებაში თუ მას განვიხილავთ ჩვენ პოლიტიკურის თვალსაზრისით.

ჩვენთვის მთავარი სახელმძღვანელო აზრია განმტკიცება საქართველოში საბჭოთა სისტემის და საბჭოთა ხელისუფლების. ყოველი პოლიტიკური აქტი ყოველი პოლიტიკური მუშაობა უნდა იყოს მიმართული ამ მთავარ დებულების განამტკიცებლად.

უნდა იცოდეს ყველამ, რომ საქართველოში საბჭოთა სისტემას და საბჭოთა ხელისუფლებას მეტად დიდი და საგრძნობი მოწინააღმდეგე ჰყავს. მთელი ჩვენი პოლიტიკური ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ გავალღოთ ის საზოგადოებრივი ყინული, რომლის შექმნა მოახერხა საქართველოში ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ.

თვით კომუნისტები ამ ყინულს არ უწევენ სათანადო ანგარიშს. ეს არის [illegible] მეტად სამწუხარო მოვლენა და თუ გნებავთ ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად საბედისწერო.

ბევრს დიქტატურის თეორია ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ყველაფრის გაკეთება შეიძლება გარეშე ხალხის, მასის სულისკვეთებისა. ეს არის უდიდესი შეცდომა. დიქტატურა შეიძლება გაუგებარი იყოს ხალხისათვის, მაგრამ დიქტატურის შედეგი მუდამ პოპულიარული და მისაღები უნდა გახდეს ხალხისთვის. რუსეთში დიქტატურა ერთს წუთს ვერ იარსებებდა, რომ დიქტატურის შედეგი არ ყოფილიყო სახალხოდ პოპულიარული და სასარგებლო.

არ უნდა გადაიდგას დღეს არც ერთი ნაბიჯი, რომელიც საშუალებას მისცემს მოწინააღმდეგე ძალებს, რომელთაც 20 წლის მუშაობით დიდი გავლენა და კავშირი აქვთ მასასთან, ხალხი დააფრთხოს, ხალხი შეაშინოს და გაადიდოს ის უნდობლობა, რომელსაც მუდამ დღეს სთესს ანტანტის მრავალი მორჩილი ძალები ჩვენში.

ესე იგი სწორედ პოლიტიკურის მომენტია, პოლიტიკურ მოსაზრებით, ყოვლად წარმოუდგენელია ფედერაციაზე დღეს ლაპარაკი, როცა ამ აქტს განმარტავენ, გაიგებენ, შთააგონებენ ყველას, როგორც დასამარებას კერძოს ყოველ უფლებებისა. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მომენტში, როცა ყოველივე ეს მოითხოვს დიდს ყურადღებას და ანგარიშის გაწევას.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, ჩვენი ხალხის გულში, უნდა ვპოვოთ ჩვენ დასაყრდენი ძალა, ხალხი უნდა იყოს ჩვენი სიმაგრე, ჩვენი იმედი უნდა საკმაოდ გავიზარდოთ ხალხის თვალში ნდობით, ავტორიტეტით, მუშაობით, რომ არავითარ პროვოკაციას გასავალი არ ქონდეს. ეს კი შეიძლება დღეს საქართველოს პრობლემის პატივისცემით, ყოველ ეროვნულ ატრიბუტის დაცვით რაიცა არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება არც ზოგადად, არც კონკრეტულად რევოლიუციის ინტერესებს.

მხოლოდ აჩქარებით, საქმის წარმოუდგენლობით ვხსნით ჩვენ დღეს ფედერაციის გამოცხადებას. პოლიტიკური მდგომარეობის შექმნა, რაშიაც ხალხის ყოველ წრეს მიუღია მონაწილეობა, ავად თუ კარგად ყველა ემსახურებოდა, ყველა იბრძოდა, ყველასათვის გასაგები იყო და ყველას აწუხებდა და ახარებდა წუხილი და სიხარული ეროვნული მდგომარეობის, ასეთი ვითარების ერთის ხელის მოკიდებით შეცვლა—დაუშვებელია, დაუშვებელია მით უმეტეს, როცა ეს არ ხდება ხალხის შემეცნების შემზადებით, როცა ეს არ სრულდება თვითონ მუშათა და გლეხთა საქმიანობით.

ჩვენში ჯერ არ დამკვიდრებულა ელემენტარი ნორმალური მდგომარეობა თვითონ კომუნისტურ პარტიასაც უბრალო ყრილობა ვერ მოუწვევია ჯერ, არ შექმნილა საბჭოები არ გამაგრებულა მდგომარეობა, ჩვენი მშრომელი ხალხის მასსა არ ჩაბმულა სახელმწიფოებრივ პირ-ვარამში—ასეთ დროს ძირითადი პოლიტიკური ცვლილების მოხდენა აღემატება ყოველ გონივრულ მოსაზრებას, ეს არსებითად დათვური სამსახურის გაწევა—თავის თავის და ჩვენ, რომელნიც არა თუ ვდგევართ საბჭოთა მართველობის ნიადაგზე, არამედ ვაღიარებთ მას როგორც საუკეთესო ფორმას თანამედროვე ხანაში, მოვითხოვთ საზოგადოების ფართო მასებისათვის დიდ ანგარიშის გაწევას, ამ მასების ჩაბმას ცხოვრების საქმეებში და მათი ორგანიზაციული დარაზმვის შემდეგ სხვა და სხვა ცვლილების გატარებას.

ასეთია ჩვენი აზრი. მთელი ჩვენი ცხოვრება ღრმად დამოკიდებულია რევოლიუციის ბედ-იღბალზე. რუსეთის რევოლიუციის პრობლემა დღესაც რთული პრობლემაა. უამრავი მტერი ახვევია მას, ყოველდღე ბრძოლაა მის წინააღმდეგ, როგორც აშკარა, ისე ჩუმი. მხოლოდ ადგილობრივ ხალხების გულის მიპყრობა, ყველა მშრომელთა რევოლიუციასთან დაკავშირება განამტკიცებს რუსეთის რევოლიუციას.

რევოლიუციის საწინააღმდეგო გამოსვლებს უნდა ებრძოდეს არა მარტო წითელი ჯარი, არამედ წითელი ხალხიც, ამიტომაა ჩვენ მეტად ფთხილად უნდა მივიდეთ ხალხთან, შევქმნათ მდგომარეობა, როცა ხალხის გულისთქმა იქნება ჩვენი გულისთქმა და ისე წინაუკმო.

ამავე დროს აზიის მრავალი ერი, საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს ჩაჩიჩინებს, ითვისებს კარგ მხარეებს, მაგრამ ყოველი დაუფიქრებელ ნაბიჯს ის მტრულად ჰხვდება და მასში იქვე იჭერს ადგილს ეს კი უდიდეს კონტრ-რევოლიუციონურ როლს თამაშობს, რაიცა მეტად სახიფათოა თანამედროვე მომენტში.

უკანასკნელად, არა მარტო დაბეჩავებული ერები, ევროპის ოპორტუნისტული მასსები კომუნისტების ყოველ აჩქარებულ ტეხა-ცვლაში, განსაკუთრებით ეროვნულს დარგში, ახვევენ ათასფერებში, იგი აძლევს მათ დიდი ხნის საკვებ მასალას და ხომ ვიცით გამოცდილებით, თუ რამდენად უფრთხის ჩიჩერინი ასეთი საკვები მასალის მიცემას ოპორტუნისტული ძალებისათვის.

ჩიჩერინის სიფრთხილე ჩვენც გვმართებს.

ყველა ამ მოსაზრებით ჩვენ ვამბობთ; დღეს უნდა მოიხსნას ფედერაციის საკითხი, უნდა ჩამოყალიბდეს და დასრულდეს საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბება, უნდა გატარდეს ეროვნული უფლებები, სახელმწიფოს მართველობაში ჩაერიოს თვითონ მშრომელი ხალხი და შემდეგ დაისვას საკითხი ამა თუ იმ პოლიტიკური კომბინაციისა. მხოლოდ ასეთ დროს და ამგვარად გადადგმული ნაბიჯი იქნება ყველასათვის გასაგები, მხოლოდ ეს განამტკიცებს სოციალისტურ აღმშენებლობას, მხოლოდ ეს იქნება რევოლიუციის სამსახური.

საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია ომამდე აღებულ ვალების ცნობების შესახებ

მსოფლიო რევოლიუცია ვითარდება, მაგრამ ვითარდება ნელი ტემპით. საბჭოთა რუსეთმა უკვე მიიღო მისგან დახმარება: ეს დახმარება იყო ის ბრძოლა რომელსაც საერთაშორისო მუშათა კლასი აწარმოებდა ინტერვენციის წინააღმდეგ და რომელმაც მეტად გაგვიადვილა გამარჯვება. მაგრამ ჩვენი მოხსენებით დახმარება კიდევ ვერ შეუძლია მუშათა კლასს; წარმოების იარაღები კიდევ მსოფლიო ბურჟუაზიის ხელშია.

ხედავდა რა ამას საბჭოთა მთავრობა. ბრესტის მოლაპარაკების შემდეგ შეუწყვეტლივ წინადადებას აძლევდა კაპიტალისტურ მთავრობებს ხელშეკრულების დასადებათ. მოკავშირეების ინტერვენციის დაწყების შემდეგაც ის ცდილობდა გამოეყენებია მოკავშირეების ყოველი დამარცხება. წითელი არმიის ყოველი გამარჯვება, რომ გაემეორებინა ზავისა და სხვა ხელშეკრულებების წინადადება. ის უფრთხილდებოდა რუსეთის მშრომელი ხალხის სისხლს; ის ფიქრობდა, რომ უკეთესია ზოგიერთ მძიმე პირობების გადატანა, ვიდრე დაუსრულებელი ომის წარმოება და ამით ხალხურ მასების ეკონომიური კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუარესება ამ წლის მარტში დიდ სახელმწიფოებიდან ინგლისმა პირველმა შეიგნო, რომ მას არ შეუძლია ომის წარმოება, მან დასდო ჩვენთან სავაჭრო ხელშეკრულება. საფრანგეთს კიდევ ჰქონდა იმედი ხან პოლონეთის იარაღის და ხან ვრანგელის გამარჯვების; ვრანგელის დამარცხების შემდეგ საფრანგეთსაც ემჩნევა გადახრა. 1920 წ. 21 ნოემბრის ბრიანის ნოტა, რომელშიაც ის მოითხოვდა ინგლისის მთავრობისაგან რუსეთის ვალების შესახებ საკითხის დაყენებას, როგორც საზავო მოლაპარაკების დაყენების პირობებს, ადასტურებს საფრანგეთის პოლიტიკის გადახრას. მაგრამ ინგლისის მთავრობა არ ჩქარდება ამ საკითხის დასმას, რომ უფრო გაენცალკევებია რუსეთი საფრანგეთისაგან და ამ უკანასკნელის მთავრობა კი თითონ უარს ამბობდა საბოლოო მშვიდობიან პოლიტიკის წარმოებაზე საბჭოთა რუსეთის მიმართ. სახალხო უბედურებამ, ვოლგის მხარეების შიმშილობამ, აიძულა საფრანგეთი აშკარათ კონკრეტიულათ დაესვა საკითხი რუსეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ, რასაკვირველია, იმისთვის კი არა, რომ საფრანგეთი, კაცთმოყვარეობის გრძნობებით აღტკინებული, იჩქაროდა დახმარება გაეწია დამშეული რუსეთისთვის.

არა, ბრიანს უნდოდა საბოტაჟი მოეწყო ყოველგვარ დახმარებისათვის; რუსეთის შიმშილმა მას კიდევ ერთხელ აღუძრა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის იმედები. ამ იმედების შედეგი იყო ცდა, რომ ჩაეთრია ომში ჩვენ წინააღმდეგ პოლონეთი და რუმინეთი. მაგრამ 16 აგვისტოს ლოიდ ჯორჯის სიტყვამ აუხილა ფრანგებს თვალები, ისინი დარწმუნდნენ, რომ თუ ისინი ვერ შესძლებენ შიმშილის სასიკვდილო ხელით საბჭოთა რუსეთის გაგუდვას და შტიკით დასამარებას, მაშინ ინგლისის კაპიტალი გამოიყენებდა ამ შიმშილს ეკონომიური დახმარებისათვის და ხელში ჩაიგდებდა რუსეთის ბაზრის მონოპოლიას.

საფრანგეთმა იცოდა, რომ ინგლისსა და საბჭოთა რუსეთს შორის, თუმცა არა ოფიციალურათ, მაგრამ მაინც, დაიწყო მოლაპარაკება სესხების შესახებ მაშინ საფრანგეთმა, პოლონეთის ომში ჩათრევის ცდის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, გადასწყვიტა მიემხრო ინგლისი, რომ საბჭოთა მთავრობას ეცნო მეფის ვალები. მან ამ მიზნისათვის გამოიყენა ვაშინგტონის კონფერენცია. საფრანგეთის მთავრობამ მუქარით, რომ ის მხარს დაუჭერდა ამერიკას ინგლისის წინააღმდეგ წყნარ ოკეანეს საკითხში, აიძულა ინგლისის მთავრობა, რომელიც ნაკლებადაა დაინტერესებული ომამდე გაცემულ სესხებში და რომლებსაც მეფის მთავრობა იღებდა განსაკუთრებით საფრანგეთში, შეუთანხმებოდა ამ საკითხში საფრანგეთს. ბრიუსელის კონფერენციამ განუცხადა საბჭოთა მთავრობას, რომ მოკავშირეები მისცემენ შიმშილის წინააღმდეგ საჭირო კრედიტებს მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობა იცნობს მეფის ვალებს.

ეს მოთხოვნა შეიცავს ყველა იმისას, რასაც მოკავშირეები ლაპარაკობენ რუსეთის შიმშილის გამოყენებაზე. რომ ისარგებლონ ამ შემთხვევით და მოსთხოვონ ვალების გადახდა, ეს მოთხოვნა სწორედ ის ჯოჯოხეთური გეგმაა, რომელზედაც ლაპარაკობდა ლოიდ ჯორჯი 16 აგვისტოს, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ იცის, რომ მას საქმე აქვს ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებთან. ის ერთი წამითაც არ ელოდა ანტანტის კაპიტალისტებისაგან რაიმე კაცთმოყვარეობას რუსეთის გლეხებისა და მუშების მასსების მიმართ; ის ელოდა, რომ მოკავშირეებს არ შერცხვებოდათ, მოეთხოვათ ვალების ცნობა შიმშილისაგან მომაკვდავ რუსეთის მშრომელი მასსებიდან. საბჭოთა მთავრობა. ამიტომ აცხადებს: იმისთვის, რომ გადავარჩინოთ შიმშილის სიკვდილისაგან მილიონები, რომ დაჩქარდეს მოკავშირეთა ინტერვენციისაგან დანგრეული მხარის აღდგენა, ის მზად არის ამ ტანჯულ მასსების სახელით აიღოს თავის-თავზე ძველი ვალების გადახდის ვალდებულება. მთელი ქვეყნის მუშათა მასსების წინაშე ის აცხადებს, რომ ის, მსოფლიო კაპიტალზე უფრო სუსტი, მზად არის რუსეთის მშრომელ მასსების სახელით აიღოს მსოფლიო ქოფაკების ზეგარა თავის-თავზე იმ რესურსებიდან, რასაც მშიერი მუშა და გლეხი შექმნის თავის შრომით. თანხმდება რა ამაზე, საბჭოთა მთავრობა ერთ სიტყვასაც არ ცვლის ყველა იმიდან, რასაც ის ამბობდა: არც ერთი ხალხი არ არის ვალდებული გადაიხადოს თავის ბორკილების ფასი. საბჭოთა მთავრობა უარჰყოფს იმ მტკიცებას, რომ ხალხი, რომელიც უარს აცხადებს ფულის გადახდას სატუსაღოებისათვის, საპყრობილეებისათვის, შეიარაღებისათვის, რომელმაც მიგვიყვანა საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტა და ნგრევამდე, ვერ დაიმსახურებს ნდობას, როდესაც ის ამბობს: დახმარებისათვის, რომელიც მე გამიწიეს სახლების ასაშენებლათ, ქარხნების გასაყვანათ, ჭრილობების მოსარჩენად მე მზად ვარ გადავიხადო. მუშათა მასების სახელმწიფო მორალი არ არის მსოფლიო ბურჟუაზიის მორალი. მსოფლიო ბურჟუაზია უფრო ძლიერია და ჩვენ ამას ანგარიშს ვუწევთ. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ფაქტს, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ბანკირები თხოულობენ ინგლისისა და ამერიკისაგან მოსპონ მათი ვალები, იმ დროს, როდესაც მდიდარი ინგლისი ცდილობს ვალების პატიებას ამერიკის კაპიტალისაგან, ისინი მოითხოვენ მშიერ და ღატაკ საბჭოთა რუსეთისაგან მეფის ვალების ცნობას. საბჭოთა რუსეთი მზად არის გადაიხადოს ეს ვალი მაშინ, როდესაც ის ამას შესძლებს, როდესაც ის თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობით კაპიტალისტურ ქვეყნებთან, ახალი სესხების დახმარებით წინ წასწევს საკუთარ მრეწველობის და მიწათ მოქმედების საქმეს.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ვალების ცნობა, თხოულობს ამავე დროს საბჭოთა რუსეთის ცნობას მოკავშირეებისაგან. უამისოდ ჩვენგან ვალების ცნობას არ ექნებოდა არავითარი საერთაშორისო ღირებულება. თამასუქს, რომელსაც ხელს აწერს ჯერ არ ცნობილი მთავრობა, არ მიიღებს არც ერთი ბანკი. თუ მოითხოვენ სახელმწიფო ვალების ცნობას, ამით მოკავშირეები დღიურ წესრიგში აყენებენ საბჭოთა ხელისუფლების ცნობის საკითხს. რუსეთის სახელმწიფო ვალი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მისი ნატურალური სიმდიდრით. მოკავშირეებმა იციან, რომ ჩვენ დიდხანს კიდევ ჩვენი ვალების გადახდა არ შეგვიძლია არაფრით, გარდა რუსეთის ნატურალურ სიმდიდრეთა კონცესიებით, რომლის მიწაშიც ჩაფლულია უდიდესი სიმდიდრე. რუსეთი არ უნდა იქნეს გაყოფისა და განაწილების საგანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკავშირეები შეუძლებლად გახდიან საბჭოთა რუსეთისათვის აღებულ ვალდებულებების შესრულებას. საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია ქვეყნდება მარტო ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ კი არა, არამედ ვაშინგტონის კონფერენციის დაწყებამდისაც, რომელზედაც საჯარო ვაჭრობის ერთ საგნად იქნება აღმოსავლეთი ციმბირი.

მოკავშირეების წინაშე დგას ეხლა მთელი სიცხადით და გარკვეულობით კითხვა: უნდათ თუ არა მათ რუსეთის ეკონომიურ აღორძინებას ხელი შეუწყონ, იმ რუსეთის, რა სახითაც ის დღეს არსებობს ოქტომბრის გამარჯვების პირობებში მისი არსებობის 4 წლის ბრძოლის შემდეგ, რომ აღორძინებულ „ქვეყნიდან მიიღონ მოგება. თუ იმათ უნდათ ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელიც ჩვენ ვერ დაგვამარცხებს, მაგრამ მიაყენებს ბევრ მწუხარებას და წამებას რუსეთის მშრომელ მასებს, მსოფლიო კაპიტალს კი—ზარალს და დანაკლისს.

ასე დგას კითხვა.

კ. რადეკი.

ახალი ამბები

— ბათომი. 14 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის საზეიმოთ ბათომში გახსნილი იქმნა ლენინის ძეგლი. ზეიმი დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა პროცესიაში ყურადღებას იპყრობდა ორი ავტომობილი სიმბოლიური ანბანებით, რომელიც ასურათებდა თავისუფალ რუსეთის და აჭარის მშრომელთა განთავისუფლებას. გაიხსნა საბავშო კლუბი და სამკითხველო აგრეთვე საბავშო ბაღი, გაიხსნა ფაბრიკა ქარხნების რაიონში კლუბი და ტეხნიკურ სკოლის თავშესაფარი. საღამოს მესამე საბჭოთა სახლში გახსნილ იქმნა პირველი ყრილობა აჭარის ღატაკ გლეხთა კომიტეტისა.

ყველა თეატრებში კინომატოგრაფებში და კლუბებში შესდგა კონცერტი მიტინგი და წარმოდგენები სადღესასწაულო პროგრამით. ქალაქი განათებული იყო დაღამებისას ანთებული იქმნა ფეიერვერკები ქუჩები მთელს საღამოს და ღამეს გამოცოცხლებული იყო.

— კავკასიის რკ. გზის მართველობის თათბირმა კავკასიის ოლქის გზათა მიმოსვლის უფროსის ინჟინერ მარკოვის მონაწილეობით გადაწყვიტა საკითხი, შესახებ ყველა რკინის გზების შენობებისა და საწყობების გადაცემისა, რომელიც კი არსებობს ბათომ-ფოთის პორტის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მთავარ მართველობისათვის.

— საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა მოაწყოს ერთი კვირის ვადის განმავლობაში, საზღვაო მილიცია ბათომის და ფოთის პორტებში. საზღვაო ტრანსპორტის მთავარი მართველობა უკვე შეუდგა საზღვაო მილიციის ორგანიზაციას.

— ფოთის პორტში უკვე სდგას ინგლისის გემი „რომკელი“, რომელიც დატვირთულია 4000 ტონი მარგანეცით საზღვარგარეთ გასაგზავნათ. ეს პირველი ექსპორტია მარგანეცისა საზღვარგარეთ საბჭოთა მთავრობის დროს.

პარტიაში

მთავარი კომიტეტის მდივნის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციაში.

პარტიული სამკითხველო. პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიხსნა სამკითხველო. სამკითხველოში ყოველ დღიურად არის რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პერიოდული გამოცემანი. ამ დღეებში დაიწყება წიგნების გაცემაც. სამკითხველო ღიაა საღ. 5—9 საათამდე. სამკითხველომ შეიძინა ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნები.

მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტთა ახალგაზრდათა ორ. მთავარი კავშირი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ წევრთა რეგისტრაცია სწარმოებს ცენტრალურ ბიუროს „ახალგაზრდათა ოთახში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ახალგაზრ. ორ. კავშირი.

რუსეთი

ვენა ნოემბრის 8 შვეიცარიის წითელმა ჯვარმა მოწოდება გამოუშვა მცხოვრებთადმი რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად ფულის შესაგროვებლად და გასაგზავნათ რუსეთში ქიმიებისა, სანიტარულ პერსონალებისა და მედიკამენტებისა.

მოსკოვი. ნოემბრის 14 ვოლგის ნაპირების დამშეულთათვის დამხმარე კომიტეტმა შეერთებულ შტატებში ეგრეთ წოდებულ „საბჭოთა რუსეთის მეგობრების კომიტეტმა“ ოქტომბრის დღეებს შეაგროვა 75.000 დოლარი.

მოსკოვი ნოემბრის 13 პენზის დეპოს მუშებმა ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავი აღნიშნეს ორი ორთქმავალის გამოშვებით.

ოდესა ნოემბრის 12 კიშინიოვის გაზეთები იუწყებიან, ჩრდილოეთ უკრაინაში პეტლურელების მეთაურად არის პოლკოვნიკი პალი, მთავარ სარდალი მეამბოხეთა ჯერია. პალი ენერგიულად მოუწოდებს მცხოვრებლებს შეიარაღებულ გამოსვლისათვის წინააღმდეგ ადგილობრივ საბჭოთა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებისა. ამასთან ლოზუნგათ აცხადებს: „არ შეეწყნარება ადგილობრივ კომუნისტებისა და მათი მიმხრეებისა“. მეამბოხეთა მთავარ კომიტეტმა მიმართა ებრაელ მცხოვრებლებს მოწოდებით შეუერთდნენ უკრაინის მეამბოხეებს.

უცხოეთი

საბჭოთა სომხეთში. 13 ნოემბერი. 16 ნოემბერს ერევანში გაიხსნება პირველი ყრილობა სომხეთის მუშაკთა. აღნიშნულია დღიური წესრიგი: მოხსენება ცენტრალური სამხედრო გამგეობისა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სატარიფო პოლიტიკა, საბჭოთა აღმშენებლობა. კულტურულ განმანათლებელი საკითხი და სხვა, ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებს მსახურთა დელეგატიც 200 კაცზე ერთის არჩევით.

ნაუენი. ნოემბრის 11. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ ფინანსიური კრიზისი გერმანიაში გამოწვეულია მომეტებულ წილად ქაღალდის ფულის გაძლიერებული გამოშვებით. მეტალიური ვალიუტის გამოშვების განზრახვა ჯერ კიდევ განუხორციელებელია. გაზეთების აზრით საერთო ფინანსიური და ეკონომიური კრიზისი გამეფებული მთელს გერმანიაში შედეგია ვერსალის ხელშეკრულობისა, რომელმაც დააკმაყოფილა მხოლოდ საფრანგეთის ცრუ პატივმოყვარეობა, მაგრამ არ მოუტანა არავითარი სარგებლობა არც საფრანგეთს და არც ინგლისს. გაზეთები მოითხოვენ დაჟინებით საჭიროებას ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვისას და აგრეთვე იმ ვალდებულებებისა, რომელიც ანტანტამ წარუდგინა გერმანიას.

ნაუენი. ნოემბრის 11. გერმანიის გაზეთების ცნობით საოკუპაციო არმია რეინზე აღწევს 87.000 ჯარისკაცამდე და 3 ნახ. ათას ოფიცრებს. საფრანგეთს უჭირავს ძლიერი საოკუპაციო არმია მხოლოდ იმ მიზნით, რომ აცხოვროს ის გერმანიის ხარჯზე.

პარიზი. ნოემბრის 11. გაზეთი „ენტრანსიჟონი“ იუწყება, რომ საფრანგეთის წარმომადგენლებმა უნდა განაცხადონ ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომ საჭიროა რეინის პროვინციებში ოკუპაციის ვადის გაგრძელება და გაძლიერება კონტროლისა გერმანიაზე, ვინაიდან ეს ერთად ერთი საშუალებაა, რომ უზრუნველ იყოს საფრანგეთის საზღვრებით.

ნაუენი. ნოემბრის 11. ულსტერის მთავრობამ ერთხმად მოიწონა თავისი წარმომადგენელი კრეგის მოქმედება, რომელმაც დაიჭირა უარყოფითი პოზიცია ინგლისის წინადადების მიმართ ირლანდიის საკითხში.

რომი. ნოემბრის 11. მრავალჯერ შეტაკებამ ფაშისტებისამ რკინის-გზის მუშებთან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ რომში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა. იტალიის მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები, რომ აცდენილ იქნას შეტაკება მუშათა და ფაშისტების შორის.

— კრისტიანიდან იუწყებიან, რომ რუსეთის რევოლიუციის 4 წლის თავის აღსანიშნავად მოხდენილი იყო მრავალრიცხოვანი კრებები მთელ ნორვეგიაში. კომუნისტურმა პარტიამ და პროფკავშირებმა 7 ნოემბერი გამოაცხადეს შემოწირულების დღეთ რუსეთის დამშეულთათვის. დადგენილი იქმნა, რომ შეძლებისადაგვარად ყველა მუშებმა შესწიროს დამშეულთა სასარგებლოდ თავის ერთი დღის ხელფასი.

პარიზი. 4 ნოემბერი. „ტანი“ იუწყება ბერძენთა დიდს ბრძოლას აფიონ-ყარა-ჰისართან, რომელიც ბერძენთა სასარგებლოთ დასრულდა. ქემალისტებს მიზნათ ქონდათ ყარა-ჰისარის დაჭერა და მით ბერძენთა ფრონტის გამოყოფა ორნაწილად, რომ შემდეგ დაეწყოთ იერიში სმირნაზე. ბერძენთა შტაბმა თავის დროზე მიიღო ცნობა ოსმალთა გეგმაზე და მსწრაფლ გადაგდო საომრად თავის რეზერვი, რომლის წყალობით ძალთა აღმატებულება ბერძენთა მხარეზე დარჩა, ბერძენთა ცნობით ოსმალნი იძულებული იყვნენ დაეხიათ უკან აფიონ-ყარა-ჰისარიდან დიდ მანძილზე.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. გაზეთ „ტანის“ აზრით ვაშინგტონის კონფერენციაზე ის ზომები, რომელიც მიწოდებული იქნება ამერიკის მიერ შორეულ აღმოსავლეთის მიმართ გამოიხატება შემდეგში: ციმბირი მისაწდომი უნდა იქმნას ზღვიდანაც და [illegible] თავისუფალი, ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზა უნდა იქნეს საერთაშორისო და ნეიტრალური — ფინანსიური კონსორციუმი მიღებულ უნდა იქმნას მიზანშეწონილ საშუალებათ.

ფაშისტების მესამე კონგრესი.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. რომიდან იუწყებიან, რომ რომის ქუჩებზე დახეტიალობენ ასობით ხულიგნები, ფაშისტების დროშებით მორთულნი, ამასთან მათი თავაშვებულობა ყოველ საზღვარს აჭარბებს. ახალი პროვოკაციული მოქმედებისა გამო ფაშისტთა ბანდების მიერ ეროვნულმა დირექტორიამ პროლეტარიატის თავდაცვისამ განაცხადა ფაშისტების ძალმომრეობისა გამო და, მათ მიერ მთავრობისადმი მიცემული სიტყვის დარღვევისა გამო ის აფრთხილებს მათ, რომ ძალადობის განმეორება პროვოკაცია და სამოქალაქო ომის ატეხა შეხვდება რომაელ პროლეტარიატის გადამწყვეტ შეტევას. ამ განცხადების შემდეგ რომის ქუჩებში გამოჩნდენ ქვეითა და ცხენოსანი რაზმას მეფის გვარდიისა კარაბინებში.

მოსკოვი. 14 ნოემბერი, საფრანგეთის მთავრობის სააგენტოს ცნობით რომში მომხდარ საყოველთაო გაფიცვისა გამო ტრამვაი შეჩერებულია, დილის გაზეთები არ გამოდის, ქალაქის ცენტრში მაღაზიები დახურულია მუშათა უბანში გახსნილი. მატარებლის მოძრაობა ნაწილობრივ შეჩერებულია. რომ ელ ფაშისტების მიერ მოხდენილი იქმნა დიდი მანიფესტაცია.

ნაუენი. ნოემბრის 11-ს ბრიანის ბრძანებით ბართოლდიმ ტელეგრამით წინადადება მისცა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ სასწრაფოთ შემუშავებული იქმნას ნოტის პროექტი ინგლისის საპასუხოდ შესახებ უკანასკნელის პროტესტისა საფრანგეთ ანგორის ხელშეკრულებისა გამო. ინგლისი კატეგორიულად მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას.

— ინგლისის მთავრობა კმაყოფილებას აცხადებს იტალიის მიმართ, რომელმაც არ მიბაძა საფრანგეთს და არ დასთანხმდა ანგორასთან სეპარატიულად ზავის შეკვრაზე.

ლონდონი. ნოემბრის 11-ს დიდი ბრიტანეთის ხაზინის კანცლერმა აუწყა თემთა პალატას რომ დამატებითი დეფიციტი 1921 წლის ბიუჯეტისა 177 მილიონ გირვანქა სტერლინამდე ადის, რომელიც გამოწვეულია უმთავრესად სამთომადნო მუშების გაფიცვით და სხვა დიდი ბრიტანეთის მოულოდნელი შინაგანი ცხოვრების გართულებით.

ლონდონი 12 ნოემბერი. ლოიდ-ჯორჯმა ჩრდილო ამერიკის შტატების სტატსმდივანს ხიუგს აცნობა, რომ ის იძულებულია ირლანდიის საქმეებისა გამო დროებით გადასდვას თავის გამგზავრება ვაშინგტონში.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დაიკარგა მატრიკული № 1017 მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის ფილოსოფიური დარგიდან.
ვთხოვ ჩასთვალოთ გაუქმებულად.
77 სტუდ. შალვა ახათაანი.

ამა მიმდინარე წლის აგვისტოს რიცხვებში სახლიდან უნებურათ გაიპარა შვილი ჩემი
პეტრე გრიგოლის ძე ანთაძე
მოწაფე დიდუბის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის 13 წლის. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ვთხოვ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ტფილისი რტიშჩევის ქუჩა № 11 ტაკო ანთაძეს, ან სოფელი ბახვი ოზურგეთის მაზრა გრიგოლ ანთაძე.
72 გრიგოლ ანთაძე.

ფეხსაცმელები (ბატინკები)
რუსთაველის პროსპ. 24.
ქეზაძის კანტორაში
ფეხსაცმელი მამაკაცების ორწყებიანი ძირით (პადოშვით), რომელიც იმზარება უკადლოთ ისყიდება 250,000 მანეთად. 78

გიმნაზიის მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის“ რედაქციაში.